

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების, კომპიუტერული პროგრამების შეძენა/განახლების ხარჯებიდან 2 000 ლარი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯებიდან 151 550 ლარი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებიდან 20 000 ლარი; კადრების მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებიდან 6 000 ლარი; აუდიტის მომსახურების ხარჯებიდან 30 000 ლარი; სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯებიდან 10 000 ლარი; შენობის პასპორტიზაციის ხარჯებიდან 10 000 ლარი; სხვა ხარჯების, ქონების დაზღვევის ხარჯებიდან 3 000 ლარი; არაფინანსური აქტივების, ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 50 000 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობის შეძენის მუხლიდან 100 000 ლარი; სხვა მანქანა-დანაგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული მუხლიდან 50 000 ლარი; სულ ჯამში - 432 550 ლარი გადატანილ იქნეს კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში, კერძოდ: დანამატის მუხლში 28 500 ლარი; კავშირგაბმულობისა და სატელევიზიო მომსახურების ხარჯებში 4 470 ლარი; ელექტროენერჯის ხარჯებში 140 000 ლარი; წყლის ხარჯებში 95 000 ლარი; სესიები, კონფერენციები, ყრილობები, სემინარები და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯებში 35 000 ლარი; სხვა ხარჯების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში 22 518 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 105 562 ლარი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლში 1 500 ლარი.

2. განხორციელდეს ცვლილებები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ:

2.1. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა/შენახვის ხარჯებიდან 256 ლარი გადატანილ იქნეს საკანცელარიო ხარჯების მუხლში; ასევე, შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 4 870 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

2.2. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ელექტრომომწობილობების შეძენის მუხლში;

2.3. ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სამეცნიერო ხარჯების პუნქტიდან 3 950 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში, ხოლო 150 ლარი – საკანცელარიო ხარჯების მუხლში;

2.4. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერგიის ხარჯებიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში; ასევე, ელექტროენერგიის ხარჯებიდან 750 ლარი; ინტერნეტის ხარჯებიდან 800 ლარი; წყლის ხარჯებიდან 400 ლარი; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებიდან 300 ლარი; საფოსტო მომსახურების ხარჯებიდან 50 ლარი; სულ ჯამში 2 300 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა/შენახვის, სათადარიგო ნაწილების შეძენის მუხლში; ასევე, სამეცნიერო ხარჯებიდან 1 400 ლარი; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯებიდან 1 800 ლარი; საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 300 ლარი; სულ ჯამში 3 500 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში;

2.5. ინსტიტუტ „ტექნიფორმის“ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტიდან 940 ლარი გადატანილ იქნეს ელექტრომომწობილობების შეძენის პუნქტში, ხოლო 1 500 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა/დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტში;

2.6. ინსტიტუტ „ტალდას“ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

2.7. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების მუხლიდან 3 500 ლარი; საკანცელარიო ხარჯებიდან 481 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა/დანადგარების მოვლა/შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებიდან 2 500 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 600 ლარი;

ინტერნეტის ხარჯებიდან 900 ლარი; საფოსტო მომსახურების ხარჯებიდან 450 ლარი; ელექტროენერჯის ხარჯებიდან 13 000 ლარი; წყლის ხარჯებიდან 3 300 ლარი; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებიდან 5 400 ლარი; ტრანსპორტის დაქირავება, გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯებიდან 1 900 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა/დამონტაჟების ხარჯების მუხლში; ასევე, არაფინანსური აქტივების ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში;

3. სტუ-ის ბიუჯეტი გაზრდას დაექვემდებაროს ევროგრანტებიდან მიღებული დაფინანსებით, კერძოდ:

3.1. ERASMUS N 561555 – ხელმძღვანელი მ. ხურციძე, მოცულობა 41 860 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ევროგრანტების გრაფა 41 860 ლარით, ხოლო ხარჯები გაიწეროს მივლინების მუხლში;

3.2. №135 ACCES – ხელმძღვანელი ი. ინაშვილი, მოცულობა 142 673 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ევროგრანტების გრაფა 142 673 ლარით, ხოლო ხარჯები გაიწეროს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

3.3. საერთაშორისო პროექტი DAAD N 1016 – ხელმძღვანელი თ. ლომინაძე, მოცულობა 6 720 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ევროგრანტების გრაფა 6 720 ლარით, ხოლო ხარჯები გაიწეროს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

4. განხორციელდეს ცვლილება შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან გაფორმებული №AR/102/3-121/14 ხელშეკრულების საგრანტო პროექტში და დამატებითი №AR/102/3-121/14/143 შეთანხმების თანახმად, თანადამფინანსებელი ორგანიზაცია შპს „ცეცხლგამძლე ნაკეთობათა კომბინატის“ ნაცვლად თანადამფინანსებელ ორგანიზაციად განისაზღვროს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანხით 6 000 ლარი, რომლის ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს ადმინისტრაციის ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან;

5. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შიდა საუნივერსიტეტო №07/03/2016 საგრანტო პროექტის (ხელმძღვანელი ა. გერასიმოვი) ხარჯთაღრიცხვის ცვლილებიდან გამომდინარე, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, შეძენა/დამონტაჟების ხარჯებიდან 364 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

6. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ელექტრომომწობილობების შექმნის მუხლიდან 14 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში, ხოლო 2 500 ლარი – სოციალური უზრუნველყოფის მუხლში;

7. სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების მუხლიდან 2 016 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შექმნა/დამონტაჟების ხარჯების მუხლში;

8. სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში დანამატის მუხლიდან: 1 400 ლარი გადატანილ იქნეს ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯების მუხლში, 100 000 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 20 000 ლარი – თანამდებობრივი სარგოს მუხლში;

9. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს სამეცნიერო ხარჯების მუხლში; ასევე, მივლინების ხარჯებიდან 1 400 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შექმნისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს**

**სპიკერი, პროფესორი**

**ჯემალ გახოკიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის რაგბის გუნდის თანადაფინანსების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განახორციელოს სტუ-ის რაგბის გუნდის თანადაფინანსება მიმდინარე წელს 10 000 ლარის ოდენობით, 2017 წლის ბიუჯეტში კი გათვალისწინებულ იქნეს თანადაფინანსება 20 000 ლარით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. დავით ჩიქოვანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამშენებლო; სამთო-გეოლოგიის; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების; ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტების ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სტუ-ის სამშენებლო; სამთო-გეოლოგიის; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების; ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტების ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 ივლისის დადგენილება №2102.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორ ჯემალ კილასონიას და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 ივლისის დადგენილება №2111.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორ ნინა ლორთქიფანიძეს და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. გინა გურეშიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №2141.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ ვლადიმერ ლოლაძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. გინა გურეშიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება №2160.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სამშენებლო ფაკულტეტის ჰიდროინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ლალი დოდელიანს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით;
2. სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ ნოდარ კოდუას სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. გინა გურეშიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება №2161.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ თამაზ ჭურაძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით;
2. სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ ვიქტორ ჯაფარიძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსებაზე მყოფი გარემოს მონიტორინგის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №2131.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე მყოფი გარემოს მონიტორინგის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსებაზე მყოფი კავკასიის ისტორიის, გეოპოლიტიკისა და ეკონომიკური კვლევების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №2143.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე მყოფი კავკასიის ისტორიის, გეოპოლიტიკისა და ეკონომიკური კვლევების ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსებაზე მყოფი ტექნიკური ტერმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №2144.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე მყოფი ტექნიკური ტერმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი შპს „ვილა ძარასთვის“ საიჯარო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების ერთწლიანი გრაფიკით გადახდის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შპს „ვილა ძარას“ დართოს ნება საიჯარო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების (დაახლოებით 120 000 ლარი) ერთწლიანი გრაფიკით გადახდის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. ნაზი კუციავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორ ჟუჟუნა პეტრიაშვილის სტუ-ის საპატიო დიპლომით დაჯილდოების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება №2175.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი ჟუჟუნა პეტრიაშვილი დაჯილდოვდეს სტუ-ის საპატიო დიპლომითა და ერთი თვის ხელფასით უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 14

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე პროფ. ნაზი კუციავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტ ბ. მაისურაძის განცხადების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება №2178.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტ ბიჭიკო მაისურაძეს გაეწიოს შეღავათი და უნივერსიტეტის დაფინანსებით გათავისუფლდეს პირველი კურსის სწავლის საფასურის გადასახადისაგან.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 15

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის 15 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სტუ-ის რაგბის გუნდს განვითარების ხელშეწყობისათვის თანადაფინანსების სახით გამოეყოს 10 000 ლარი, რისთვისაც სტუ-ის ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების პუნქტში;

2. სტუ-ის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების ხარჯებიდან 8 800 ლარი; კავშირგაბმულობისა და სატელევიზიო მომსახურების ხარჯებიდან 1 000 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯებიდან 200 ლარი; ელექტროენერჯის ხარჯებიდან 2 200 ლარი; სულ ჯამში 12 200 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე ხარჯებში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე